ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

(2016 წლის სამეცნიერო და სხვა საქმიანობის ანგარიში)

2016 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მიმდინარეობდა მუშაობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებზე: 1. **ძველი ახლო აღმოსავლეთის ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის)** (ხელმძღვანელი ირინე ტატიშვილი, შემსრულებელი ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილება); 2. **ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისი და განვითარების ეტაპები დიაქრონიულ ჭრილში (წინაქრისტიანული ხანიდან თანამედროვეობამდე)** (ხელმძღვანელი ვაჟა კიკნაძე, შემსრულებლები: შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილება, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება); 3. **მულტიკულტურული საქართველო და კავკასია: ეთნოკულტურული ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესების ანალიზი** (ხელმძღვანელი ნინო მინდაძე, შემსრულებლები: საქართველოს ეთნოლოგიისა და კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებები, ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორია); 4. **ქართული ისტორიული აზრის ისტორია: ადამიანები, ტექსტები, იდეები (გვიანი ანტიკურობა - მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედი)** (ხელმძღვანელი მარიამ ჩხარტიშვილი, შემსრულებელი: შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილება), რომელებიც დაფინანსდა „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში.

2016 წელს ინსტიტუტის ბაზაზე შესრულდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები: 1) **შეუსწავლელი საარქივო მასალები და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული კულტურა (ეთნოლოგიური ძიებანი)** (FR /137/2 – 153/14, 2015-2018 წწ., ხელმძღვანელი ნინო ღამბაშიძე); 2) **საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით** (FR/12/1-10/12; 2013-2016 წწ., ხელმძღვანელი დოდო ჭუმბურიძე).

ინსტიტუტის 16 მეცნიერმა მონაწილეობა მიიღო ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში, რომლებიც ფინანსდებოდა სხვადასხვა ფონდის მიერ სხვა ორგანიზაციების ბაზაზე.

2016 წელს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა გამოსცა პერიოდული გამოცემები: **„ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ N1 (18), N2 (19); „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“ XVII; „ქართული წყაროთმცოდნეობა“ XVII-XVIII; „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“ XVIII** (გამოცემებიდან რამოდენიმე ნომერი მიეძღვნა ივანე ჯავახიშვილის 140 წლის იუბილეს); საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული - **„კავკასიის ანთროპოლოგია და ეთნოლოგია“** (რედაქტორი ლ. ბითაძე).







2016 წელს, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-თან ერთად, ითარგმნა და ბროშურის სახით გამოიცა 1906 წელს, ივანე ჯავახიშვილის მიერ რუსულ ენაზე დაწერილი ნაშრომი: "Социальное и политическое движение в Грузии в XIX веке" (პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა მე-19 საუკუნის საქართველოში) (რედაქტორი ვაჟა კიკნაძე). ბროშურის პრეზენტაცია გაიმართა თსუ-ს ბიბლიოთეკაში.

თანამშრომელთა ავტორობითა და თანაავტორობით საქართველოში გამოიცა 10 მონოგრაფიული ნაშრომი (1 საზღვარგარეთ); 2 სახელმძღვანელო; სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში და კონფერენციების მასალათა კრებულებში საქართველოში დაიბეჭდა 108 სტატია, ხოლო საზღვარგარეთ - 10 სტატია.

2016 წელს ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენციები:

<u>30 მაისი-1 ივნისი</u> – აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - **„ივანე ჯავახიშვილი – 140“.**

კონფერენციაზე გაიმართა შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, 2016 წელს დასრულებული საგრანტო პროექტის (სამეცნიერო ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი დ. ჭუმბურიძე) ფარგლებში მომზადებული და გამოცემული წიგნის – **„საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში“** (ნაწილი I-II, გამომცემლობა „მერიდიანი“) პრეზენტაცია. ავტორები: დოდო ჭუმბურიძე, ვაჟა კიკნაძე, ხათუნა ქოქრაშვილი, ლოლა სარალიძე (რეცენზენტი ოთარ ჯანელიძე).

<u>23-24 სექტემბერი</u> – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტთან და

საქართველოს ანთროპოლოგთა ასოციაციასთან ერთად, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - **„ეთნოკულტურული ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესები მულტიკულტურულ საქართველოში.“**

<u>26-27 ოქტომბერი</u> – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად, აკადემიკოს მალხაზ აბდუშელიშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: **„კავკასიის ანთროპოლოგია და ეთნოლოგია.“**

<u>14-15 დეკემბერი</u> – პროფესორ სარგის კაკაბაძის დაბადებიდან 130 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

2016 წელს ინსტიტუტის თანამშრომლებმა, როგორც მომხსენებლებმა და თანამომხსენებლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმებში (საქართველოში - 105, საზღვარგარეთ - 16). მოხსენებათა ნაწილი გამოქვეყნებულია.

18 ოქტომბერს, ინსტიტუტში მოწვევით იმყოფებოდა ცნობილი იტალიელი ქართველოლოგი, ფილოლოგი და მთარგმნელი, პროფესორი ლუიჯი მაგაროტო, რომელიც შეხვდა სამეცნიერო პერსონალს, გაეცნო ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობას და აქ დაცულ მდიდარ საარქივო და საბიბლიოთეკო ფონდებს.

2016 წელს ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მიმდინარეობდა წიგნადი ფონდების კატალოგიზირება, ასევე:

- ახალი ერთეულების მიღება
- ტექნიკური და ბიბლიოგრაფიული დამუშავება
- ახალი ერთეულების ფონდებში გადანაწილება-კატალოგიზიერება
- ფონდების აღრიცხვა
- მკითხველთა მომსახურება

ბიბლიოთეკაში შემოვიდა ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების წიგნების ნაწილი; აღნიშნული ფონდი წარმოადგენს ცნობილი მეცნიერის, აღმოსავლეთმცოდნის, ი. ს. კაცნელსონის პირადი წიგნადი ფონდის ნაწილს. რაოდენობა 2 000 ერთეული. 2016 წელს დამუშავდა და საინვენტარო დავთარში გატარდა ი. ს. კაცნელსონის წიგნადი ფონდის 500 ერთეული. სამუშაო გრძელდება. აღნიშნული წიგნადი ფონდის დამუშავების პარალელურად მზადდება კატალოგის ელექტრონული ვერსია.

2016 წელს ბიბლიოთეკაში შემოვიდა ახალი 2 150 ერთეული.

მომსახურება გაეწია 67 მკითხველს.

ნოემბრიდან (6 თვის ვადით), სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში აყვანილია 2 სტაჟიორი. მათ მიიღეს ინფორმაცია საბიბლიოთეკო საქმისწარმოების შესახებ. ამჟამად ისინი ასრულებენ საბიბლიოთეკო სამუშაოებს: 1. შეადგინეს ბიბლიოთეკაში ახლადშემოსული 150 წიგნადი ერთეულის საკატალოგე ბარათი, 2. ტექნიკური დამუშავების მოთხოვნების შესაბამისად, დაამუშავეს ერთეულები (შეავსეს ფორმულარები, ერთეულებზე განათავსეს აფთრათები და ჯიბაკები).

2016 წელს ინსტიტუტის საარქივო ფონდში სამუშაოები მიმდინარეობდა სხვადასხვა მიმართულებით:

- ანზორ ქალდანის საარქივო ფონდში დაცული ფოტომასალის კლასიფიკაცია და აღწერა
- ჩამოყალიბდა ერწო-თიანეთის ექსპედიციის ფონდი, რომლის დამუშავებაში მონაწილეობენ საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების თანამშრომლები.
- თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში, კოსერვატორიამ გადმოგვცა მათ მიერ, 90-იან წლებში ციფრულ მატარებელზე გადატანილი მუსიკალური მასალა, რომელიც ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ იყო ჩაწერილი კომპლექსური ექსპედიციების დროს. თანამშრომლობის ამავე ფორმატში, საავტორო უფლებების დაცვის გათვალისწინებით, მოხდა კონსერვატორიისათვის მუსიკალური მასალიების ელექტრონული ასლების გადაცემა, მათი შემდგომი სასწავლო და სამეცნიერო მიზნებისათვის გამოსაყენებლად.
- მიმდინარეობდა მუსიკალური ფონდის ხელნაწერი შრომების დიგიტალური ვერსიის შექმნა.
- მიმდინარეობს როგორც საცავიდან გადმოტანილი ასევე ახლად აღმოჩენილი მასალების (ვ. დონდუას ფონდი; ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მასალები; ძველი მსოფლიოს ისტორიის განყოფილების მასალები.) კლასიფიკაცია და სტელაჟებზე განთავსება.